**საქართველო**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია**

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/25

17 02 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 17 თებერვლის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის საკითხი და მოამზადა შესაბამისი დასკვნა და დადგენილების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით:

- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 17 თებერვლის დასკვნას – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე";
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ";
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 17 თებერვლის №13 სხდომის ოქმის ამონაწერს.

გთხოვთ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომაზე/სესიაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

09-01-08/20
17 02 2017
5 ფურცელი

09-02-11/537
1 4
17 02 2017 წ.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/25

17 02 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

## საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 17 თებერვლის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

როგორც ცნობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №24-უ.ს.რ.ს დადგენილებით ლევან ვარშალომიძეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვადამდე შეუწყდა უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლეს საბჭოში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 15 თებერვლის №1 განკარგულება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის თაობაზე“ და თანდართული დოკუმენტაცია (№09-02-15/99, 15.02.2017). მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის (პარტიულ სიაში №1) ადგილმონაცვლედ, ამავე პოლიტიკური გაერთიანების პარტიული სიით წარმოდგენილია ასმათ დიასამიძის კანდიდატურა (პარტიულ სიაში №6).

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას თან ერთვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის – ასმათ დიასამიძის სააღრიცხვო ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი და განცხადება (თანხმობა) უმაღლესი საბჭოს წევრობაზე.

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის - ასმათ დიასამიძის მიერ, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა №00859617, 15.02.2017.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ ცნობილ იქნეს ასმათ დიასამიძის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 17 თებერვლის №13 სხდომის ოქმიდან**

| | |
|---|---|
| მოისმინეს: | კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ. |
| გადაწყვიტეს: | 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინოს კომისიის დასკვნა, ხოლო უმაღლეს საბჭოს – დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.<br>2. დადგენილების პროექტზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია. |

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

<u>პროექტი</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# დადგენილება

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ლევან ვარშალომიძის ადგილმონაცვლის ასმათ დიასამიძის უფლებამოსილება.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

ნ. ...